ხელშეკრულება N 19

01 .10. 2018 წელი

პერიოდულ გამოცემათა მიწოდების შესახებ

ერთის მხრივ შპს ელვა.ჯი (შემდგომში _ 'მიმწოდებელი'), მისი დირექტორის ნიკო კბილაძის სახით, და მეორეს მხრივ ა.ა.ი.პ აკაკი წერეთლის სახელობის საჩხერის ბიბლიოთეკა(შემდგომში _ 'დამკვეთი') მისი დირექტორის მარინე აბრამიშვილის სახით როგორც მხარეები ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ''საქართველოს კანონის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ, შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული პერიოდულ გამოცემათა მიწოდება დამკვეთისათვის, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესისა და პირობების შესაბამისად.(CPV 22200000)

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მიწოდების პირობები

2.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 01.10.2018წ–დან 30.12.2018წ ჩათვლით.

2.2. მიმწოდებელი მისაწოდებელი პერიოდული გამოცემების ტირაჟებს აბარებს დამკვეთს შემდეგ მისამართზე: საჩხერე. თავისუფლების 2

3. ანგარიშსწორება

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, მისი დანართის შესაბამისად მისაწოდებელი პერიოდული გამოცემების ღირებულება ჯამში შეადგენს 1191.80(ერთი ათას ასოთხმოცდათერთმეტი ლარი და 80თეთრი) ლარს.

3.2. დამკვეთი ვალდებულია ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებულ თანხა გადაუხადოს შემსრულებელს წინასწარ, ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა.

4. პასუხისმგებლობა

4.1. თითოეული მხარე პასუხს აგებს მეორე მხარის წინაშე მის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან/და არაჯეროვნად შესრულებაზე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.2. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, თუ ასეთი შეუსრულებლობა გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი მიზეზებით ან/და ფორსმაჟორული გარემოებებით. მიმწოდებელი აგრეთვე თავისუფლდება მის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ან მისი ნაწილის შესრულებისაგან,
თუ ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში რომელიმე პერიოდული გამოცემა შეწყდა ან შეფერხდა.

5. დამატებითი პირობები

5.1. თითოეული მხარე ვალდებულია, დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

5.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდის განმავლობაში მოხდა რომელიმე გამოცემის საცალო ფასის ზრდა ან კლება, მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ
დაუყოვნებლივ აცნობოს დამკვეთს, რომელსაც საკუთარი შეხედულებისამებრ უფლება აქვს:
ა) შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მის მიერ გადახდილი თანხის აუთვისებელი ნაწილი.
ბ) გადაიხადოს ან მიიღოს განსხვავება ძველ და ახალ საცალო ფასებს შორის დღიდან ფასის შეცვლისა ხელშეკრულების ვადის გასვლამდე. ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია
მიაწოდოს დამკვეთს პერიოდული გამოცემა მთელი სახელშეკრულებო პერიოდის განმავლობაში.

5.3. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით ან მოქმედების ვადის გასვლის გამო.

5.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა გააჩნია.

შპს ელვა.ჯი	აკაკი წერეთლის სახელობის საჩხერის ბიბლიოთეკა
ს/კ 404882953	
ქ.თბილისი იოსებიშვილის 49	საჩხერე. თავისუფლების 2
ს/ს თი ბი სი ბანკი კოდი TBCBGE22	
ა/ა: GE13TB7350236080100004	239396550
დირექტორი: /ნიკო კბილაძე/	დირექტორი: /მარინე აბრამიშვილი/

დანართი: 14893/16

ORGANIZATIONS.GE
პრესა და მიმდინარე აღრიცხვა მიმოდევნით

ორგანიზაცია: აკაკი წერეთლის სახელობის საჩხერის ბიბლიოთეკა
სახელი,გვარი: აკაკი წერეთლის სახელობის საჩხერის ბიბლიოთეკა
საიდენტიფიკაციო, პ/ნ: 239396550
ელ.ფოსტა: sachkherisbiblioteka25@gmail.com
ტელეფონი: 577050868
მისამართი: საჩხერე, თავისუფლების 17
ხელმოწერის პერიოდი: 01.10.2018 - 31.12.2018

#	პროდუქცია	სერია	უჯრ.	ერთ.ფასი	რაოდ.	თანხა
1	აგრარული საქართველო	---	14	2.00	42	84.00
2	ასავალ-დასავალი	---	1	2.50	13	32.50
3	ახალი ვერსია	---	1	1.00	13	13.00
4	ახალი თაობა	---	1	0.60	78	46.80
5	გზა	---	1	1.50	13	19.50
6	დილა	---	1	2.50	3	7.50
7	თბილისელები	---	1	1.50	13	19.50
8	ისტორიანი	---	1	3.00	3	9.00
9	კარიბჭე	---	1	1.00	7	7.00
10	კვირის პალიტრა	---	16	1.50	208	312.00
11	ლელო	---	1	1.00	65	65.00
12	მსოფლიო სპორტი	---	1	0.50	78	39.00
13	მსოფლიო სპორტი ხუთშაბათის	---	1	1.00	13	13.00
14	ოჯახის მკურნალი	---	1	3.00	3	9.00
15	სარკე	---	1	1.50	13	19.50
16	საქართველოს რესპუბლიკა	---	15	0.50	975	487.50
17	შინ	---	1	8.00	1	8.00
					1541	1,191.80

გადახდის ტიპი უნაღდო

შპს ელვა.ჯი
თბილისი. იოსებიძის 49
ს/ს საქართველოს ბანკი კოდი BAGAGE22

თბილისი - აა GE17BG0000000887421300
რაიონი - აა GE71BG0000000523522500
- - - - - - - - - - - - - - - - - - -

პასუხისმგებელი პირი კომპლექტაციაზე

აბონენტის ხელმოწერა

239396550

ტელ.: (+995 32) 2-38-26-73; 2-38-26-74 ელ.ფოსტა: elvajelva.ge